

საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის სხდომა

№5

2014 წლის 8 მაისი

თავმჯდომარეობდა: ნოდარ ხადური - საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: მ. დაუშვილი, დ. სერგეენკო, თ. სანიკიძე, თ. ჟვანია,
პ. ზაქარეიშვილი, გ. კვირიკაშვილი, შ. ფიფია,
დ. დარახველიძე, ს. უგრეხელიძე, პ. უგრეხელიძე,
თ. ცეკვავა, პ. შავიშვილი

მოწვეული იყო: ნ. მიქელაძე, გ. ფაცაცია, თ. მურღულია, ა. ტაბატაძე,
თ. ქაროსანიძე, ო. დანელია, რ. ბრეგაძე, გ. გიორგაძე,
დ. ხუციშვილი, ზ. სარაჯიშვილი, ვ. ხორავა,
ლ. ბაქრაძე, ფ. ასლანიკაშვილი

I. სხდომის თავმჯდომარის არჩევა

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით მე-5 სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოდარ ხადური - საქართველოს ფინანსთა მინისტრი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

II. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადმინისტრაციის დირექტორის მერი დაუშვილის ინფორმაცია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ

(ნ. ხადური, მ. დაუშვილი, ნ. ხადური)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;

III. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადმინისტრაციის დირექტორის მერი დაუშვილის ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის განახლებული ვარიანტის შესახებ, კერძოდ - მესტიის, ყაზბეგის, დუშეთისა (გუდამაყრის, ქვეშეთის, უკანაფშავის, ხევსურეთის, შატილის, მადაროსკარის თემები) და ახმეტის (ომალოს თემი) მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის სექტემბერში ჩატარების შესახებ.

(ნ. ხადური, მ. დაუშვილი, ნ. ხადური)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;
2. დამტკიცდეს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის განახლებული ვარიანტი.

IV. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მერი დაუშვილის ინფორმაცია აღწერის კითხვარებზე (ფორმა #1, ფორმა #2, ფორმა #3, ფორმა #4 და ყდა) კომისიის წევრი უწყებების შენიშვნებზე საქსტატის რეაგირების შესახებ;

(ნ.ხადური, მ.დაუშვილი, პ.ზაქარეიშვილი, თ.სანიკიძე, დ.სერგეენკო, ს.უგრეხელიძე, ნ.მიქელაძე, თ.მურდულია, ზ.სარაჯიშვილი, ლ.ბაქრაძე, ფ.ასლანიკაშვილი, თ.ცეკვავა, პ.შავიშვილი, ნ.ხადური)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;
2. დამტკიცდეს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარები (ფორმა #1, ფორმა #2, ფორმა #3, ფორმა #4 და ყდა), სხდომაზე გამოთქმული და მიღებული წინადადებების გათვალისწინებით;
3. დაევალოს სსიპ - სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს უზრუნველყოს (ფილოლოგის დახმარებით) აღწერის კითხვარების გადამოწმება რედაქციული თვალსაზრისით.

V. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მერი დაუშვილის ინფორმაცია აღწერის საორგანიზაციო საკითხების შესახებ, კერძოდ:

ა) საქსტატის ტერიტორიული ერთეულებისათვის მიმდინარე წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ბ) 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში 1 ერთეული საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ;

გ) საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მიმდინარე წლის დეკემბრიდან 2016 წლის აპრილის ჩათვლით, პირველადი მონაცემების მოზიდვის, განთავსებისა და მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის სამუშაოების განსახორციელებლად, ქ. თბილისში საჭირო 1000 კვადრატული მეტრის კეთილმოწყობილი ფართის გამოყოფის შესახებ;

დ) 2014 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეში თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში, მუნიციპალური ზედამხედველებისათვის, საველე პერსონალის ტრენინგებისათვის და კითხვარების განსათავსებლად კეთილმოწყობილი ფართების გამოყოფის შესახებ.

(ნ. ხადური, მ.დაუშვილი, დ. სერგეენკო, ს. უგრეხელიძე, ნ. მიქელაძე, ნ. ხადური)

1. წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად;

2. სახელმწიფო რწმუნებულებს - გუბერნატორებს, თვითმმართველი ქალაქების მერებს და მუნიციპალიტეტის გამგებლებს ეთხოვოთ:
 - ა) 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში სავალდებულო სამუშაოების ორგანიზებისა და ზედამხედველობის პერიოდში 1 ერთეული საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საწვავითა და მძღოლით;
 - ბ) 2014 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეში თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში, მუნიციპალური ზედამხედველებისათვის, სავალდებულო პერსონალის ტრენინგებისათვის და კითხვარების განსათავსებლად კეთილმოწყობილი ფართების გამოყოფა;
3. საქსტატმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად განიხილოს საკითხი, 2014 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში, პირველადი მონაცემების მოზიდვის, განთავსებისა და მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის მიზნით, ქ. თბილისში 1000 (ერთი ათასი) კვადრატული მეტრის კეთილმოწყობილი ფართის გამოყოფის შესახებ;
4. საქსტატმა და კომისიის წევრმა უწყებებმა ერთობლივად განიხილონ საკითხი, საქსტატის ტერიტორიული ერთეულებისათვის 2014 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალების საქსტატზე დროებით გადაცემისა და 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თვითმმართველ ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.

VI. სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მერი დაუშვილის ინფორმაცია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში საქსტატისათვის 2014 წლის განმავლობაში განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე გამარტივებული შესყიდვის უფლების მოცემის თაობაზე

(ნ. ხადური, მ. დაუშვილი, თ. ცეკვავა, ნ. ხადური)

1. მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია;
2. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას განიხილოს საკითხი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის, 2014 წლის განმავლობაში, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე გამარტივებული შესყიდვის უფლების მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე



ნოდარ ხადური

კომისიის მდივანი



კაპიტა შავიშვილი